



გერგილი

## შპს „პოლიპლასტი“

პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი  
საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია

## სკოპინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს გერგილი

საქართველო თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ 7, ბინა 13

ტელ: 032 2 32 31 45; +995 599 16 44 69

Email: [info@gergili.ge](mailto:info@gergili.ge) Website [www.gergili.ge](http://www.gergili.ge)

დირექტორი: რევაზ ენუქიძე

## სარჩევი

1. შესავალი.....	3
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	3
1.2 სკოპინგის ანგარიშის საკანონმდებლო საფუძველი.....	5
2 პროექტის აღწერა.....	6
2.1 ნარჩენების აღდგენის საქმიანობის აღწერა.....	6
2.2 პროექტის ფარგლებში საჭირო ინფრასტრუქტურა.....	8
2.3 წყალმომარაგება და კანალიზაცია.....	9
3 ალტერნატივების აღწერა.....	10
3.1 „არ განხორციელების“ ალტერნატივა.....	10
3.2 განთავსების ადგილის შეცვლის ალტერნატივა.....	10
3.3 ტექნოლოგიური ალტერნატივა.....	11
3.4 ალტერნატივების შეფასება.....	11
4 საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები.....	12
4.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები.....	12
4.2 გეოლოგიური პირობები.....	12
4.3 ჰიდროლოგიური პირობები.....	12
5 გარემოზე ზემოქმედების მოკლე აღწერა.....	14
5.1 ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება.....	14
5.2 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება.....	14
5.3 ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.....	14
5.4 წყლის გარემოზე ზემოქმედება.....	14
5.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	14
5.6 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება.....	15
5.7 ნარჩენების წარმოქმნა და შესაძლო გავრცელება.....	15
5.8 ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება.....	15
5.9 სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	16
5.10 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება.....	16
5.11 დასაქმებაზე, ეკონომიკურ გარემოზე და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე ზემოქმედება.....	16
5.12 კუმულაციური ზემოქმედება.....	16
5.13 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	17
5.14 შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე ზემოქმედება.....	17
5.15 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.....	17
5.16 დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციები.....	17

6. ინფორმაცია მომავალში ჩასატარებელი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ .....	18
6.1 ემისიები ატმოსფერულ ჰაერში .....	18
6.2 ხმაურის გავრცელება და ვიზრაცია .....	18
6.3 ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება .....	18
6.4 წყლის გარემო.....	18
6.5 ბიოლოგიური გარემო.....	18
6.6 დაცული ტერიტორიები.....	18
6.7 ნარჩენები .....	18
6.8 ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება .....	19
6.9 სატრანსპორტო ნაკადები .....	19
6.10 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიური ძეგლები .....	19
6.11 დასაქმება, ეკონომიკური გარემო და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობები.....	19
6.12 კუმულაციური მდგომარეობა.....	19
6.13 ტრანსსასაზღვრო მდგომარეობა .....	20
6.14 შავი ზღვა და სანაპირო ზოლი.....	20
6.15 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	20
6.16 დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციები.....	20
დანართი 1: შპს „პოლიპლასტი“-ს იჯარის ხელშეკრულება სს „სპაგეტი-94“-თან .....	21
დანართი 2: შპს „პოლიპლასტი“-ს იჯარის ხელშეკრულება სს „თემქა პური“-სთან .....	23
დანართი 3: შპს „პოლიპლასტი“-ს იჯარის ხელშეკრულება სს „დაკო“-სთან .....	30
დანართი 4: სს „დაკო“-ს და სს „სპაგეტი-94“-ს იჯარის ხელშეკრულება.....	37
დანართი 5: შპს „პოლიპლასტი“-ს ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.....	39

# 1. შესავალი


## 1.1 ზოგადი მიმოხილვა

შპს „პოლიპლასტი“ წარმოადგენს პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავებელ საწარმოს, რომელსაც წინამდებარე პროექტის მიხედვით დაგეგმილი აქვს პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, თემქის მე-3 მ/რ; მე-5 კვ.-ში ყოფილი პურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, მის: ისაკიანის ქუჩა N1-ში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.12.05.001.006. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X: 485542.55 Y: 4624539.86; აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სააქციო საზოგადოება „სპაგეტი-94“-ს (ს/კ: 200001023) საკუთრებას, რომელ ფართობსაც შპს „პოლიპლასტი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს (ფართობი 349მ<sup>2</sup>). ასევე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს სააქციო საზოგადოება "თემქა პური"-ს (ს/კ: 200000391) ტერიტორიის მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობა N04(1)-დან 140მ<sup>2</sup> ფართობს, მის: ისაკიანის ქუჩა N1, საკადასტრო კოდი - 01.12.05.001.004, ტერიტორიის GPS კოორდინატები: X; 485549.22 Y: 4624627.48; აგრეთვე შპს „პოლიპლასტი“ სარგებლობს სააქციო საზოგადოება „სპაგეტი-94“-ს (ს/კ: 200001023) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწი ფართობს 250მ<sup>2</sup>, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.12.05.001.006 , რომელიც სს „დაკო“-ს (ს/კ: 405197781) აქვს გადაცემული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე და ამავდროულად შპს „პოლიპლასტი“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული ტერიტორიები ზღვის დონიდან მდებარეობს 523 მეტრზე. წარმოდგენილი GPS კოორდინატების და საკადასტრო კოდების მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიებიდან სამხრეთით წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება „თემქა პური“-ს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 30 მეტრში, სადაც განთავსებულია სასაწყობო შენობა, რომელიც ადრე წარმოადგენდა პურის ქარხანას. ჩრდილოეთით ესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთით ტერიტორიას ესაზღვრება საავტომობილო გზა, რომელიც ობიექტიდან 35 მეტრითაა დაშორებული. შენობა მთლიანად შემოსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „თემქა პური“-ს ტერიტორიით. ტერიტორიიდან დასავლეთით 132 მეტრში მდებარეობს სააქციო საზოგადოება "ჯერარსი"-ის საკუთრებაში არსებული საავადმყოფო. შენობიდან მანძილი უახლოეს სახლამდე 20 მეტრია. შპს „პოლიპლასტს“ და უახლოეს მოსახლეს შორის არსებობს 2.5 მეტრის სიმაღლის ღობე.

სქემა 1-1: შპს „პოლიპლასტი“-ს ადგილმდებარეობა



შპს „პოლიპლასტი“-ს სკოპინგის ანგარიში მომზადებულია შპს „გერგილი“-ს მიერ. საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილი“-ს და შპს „პოლიპლასტი“-ს შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.

<b>ცხრილი 1.</b>	
<b>პროექტის განმახორციელებელი</b>	შპს „პოლიპლასტი“
საიდენტიფიკაციო კოდი	400264780
გენერალური დირექტორი	გიორგი ვახტანგიშვილი
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი; გლდანი, ჯანჯღავას #30
ელ. ფოსტა	Giorgi_vakhtangishvili@yahoo.com
საკონტაქტო პირი	გიორგი ვახტანგიშვილი
საკონტაქტო ნომერი	558959579
<b>დაგეგმილი საქმიანობის ტიპი</b>	ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა
<b>გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია</b>	შპს „გერგილი“
დირექტორი	რევაზ ენუქიძე
ელ. ფოსტა	r.enukidze@gergili.ge
საკონტაქტო ტელეფონი	599164469

## 1.2 სკოპინგის ანგარიშის საკანონმდებლო საფუძველი

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის შესაბამისად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) ერთ-ერთი ეტაპია სკოპინგის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. აღნიშნული პროცედურის საფუძველზე, მზადდება წინასწარი დოკუმენტი (სკოპინგის ანგარიში), რომლის საფუძველზეც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (გდსმს) გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე გდსმს-ს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

კოდექსის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე მომზადებულია სკოპინგის ანგარიში, რომელიც კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას, მათ შორის: ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, ობიექტის საპროექტო მახასიათებლებს, ოპერირების პროცესის პრინციპებს და სხვა;
- დაგეგმილი საქმიანობის და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატიული ვარიანტების აღწერას;
- ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში;
- ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის;
- ინფორმაციას ჩასატარებელი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ.

სკოპინგის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გათვალისწინება სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას.

## 2 პროექტის აღწერა

### 2.1 ნარჩენების აღდგენის საქმიანობის აღწერა

შპს „პოლიპლასტი“ წარმოადგენს პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავებელ საწარმოს, რომელსაც წინამდებარე პროექტის მიხედვით დაგეგმილი აქვს პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს წელიწადში 280 დღე 16 საათის განმავლობაში.

წარმოება აღჭურვილია პოლიეთილენის გადამამუშავებელი დანადგარებით - 5 ცალი ექსტრუდერით(პოლიეთილენის ფირის ამომყვანი დანადგარი), 2 ცალი აგლომერატი(საფქვაავი), 4 ცალი გრანულატორით და ერთი ცალი ფლექსოგრაფიული სახატავით.

ექსტრუზიის მეთოდით ხდება პოლიეთილენის გრანულების და ნარჩენების გადამამუშავება.

საწარმოო ციკლი იწყება პოლიეთილენის გრანულების მიღებით, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება სატვირთო ავტომობილების საშუალებით, მუშა პერსონალის დახმარებით გადმოიტვირთება და დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე. ამის შემდეგ უკვე ხდება უშუალოდ გრანულების ჩატვირთვა ექსტრუდერის ბუნკერში, შემდგომ ჭიახრახნის მეშვეობით პოლიეთილენი მიეწოდება ფორმირებად თავაკს, საიდანაც პოლიეთილენი ფორმირდება ფირად. მთელი პროცესი წარიმართება ტემპერატურულ რეჟიმში(160-210°C). გამაცხელებელ ელემენტად გამოიყენება ელექტროტენები. მიღებული ფირი ცივდება ბუნებრივ გარემოში და ეხვევა ე.წ. ბაზინების(კოჭა) სახით. შემდეგი ეტაპი არის ფირის დაჭრა სხვადასხვა ზომებად საჭრელ-საწები დანადგარის მეშვეობით და ფორმის მიცემა. ასევე მზა ფირზე შესაძლოა დაეტანოს ნახატი, საღებავისა და სპირტის ნაზავი ხსნარით (ფლექსოგრაფიული ხატვისას გამოყენებული იქნება ეთილაცეტინელი და იზოპროპილი). ყოველწლიურად საწარმო მოიხმარს დაახლოებით 4 ტონა სპირტს და 200 კგ საღებავს.

5 ცალი ექსტრუდერის წარმადობა (10კგ/სთ; 10კგ/სთ; 10კგ/სთ; 20 კგ/სთ; 20კგ/სთ) ჯამში შეადგენს 70 კგ/სთ და მუშაობის დრო 16 საათია. ექსტრუზიის მეთოდით გადამამუშავებული პოლიეთილენის გრანულების წლიური მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს:

$$(10+10+10+20+20) \times 16 \times 280 = 313\ 600 \text{ კგ/წ}$$


პოლიეთილენის გადამამუშავების პროცესში მიღებული წუნდებული მასა, რომელიც არ წარმოადგენს ნარჩენს, ხელმეორედ მუშავდება აგლომერაციის და გრანულაციის მეთოდით.

აგლომერაცია წარმოადგენს წუნდებული მასის გადამამუშავებას ქვაბში, სადაც პოლიეთილენის ხახუნის ძალით ცხელდება გარკვეული ტემპერატურამდე და ქუცმაცდება.


გრანულაციას წარმოადგენს ნარჩენი მასის გატარებას ჭიახრახნში, სადაც ელექტრო გამაცხელებელი ელემენტები ადნობენ მასას და გამოსვლის მომენტში ცივი წყლის საშუალებით ფორმირდება გრანულებად. 4 ცალი გრანულატორის შევსება ყოველთვიურად ხდება 200 ლიტრი წყლით, რადგან გრანულების გაცივების მომენტში ხდება წყლის აორთქლება.

აგრეთვე საწარმოო მოედანზე წარმოდგენილია 4 ცალი საჭრელ-საწები დანადგარი, რომელიც მზა ფირისგან ამზადებს პოლიეთილენის პარკებს და ტომრებს. ამ პროცესშიც გამაცხელებელ საშუალებად გამოყენებულია ელექტროენერგია, რის საშუალებითაც ხდება ფირის ფორმირება, ტომრებად და პარკებად.

სქემა 2-1: შპს „პოლიპლასტი“-ს გენერალური გეგმა



პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია:





პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო წელიწადში იფუნქციონირებს 280 დღე 16 საათის განმავლობაში.

პოლიეთილენის ნარჩენების საწარმო პროცესი, გადამამუშავება(აღდგენა), დაიწყება პოლიეთილენის ნარჩენების მიღებით, რაც „ნარჩენების მართვის კოდექსით” კლასიფიცირდება როგორც პოლიეთილენის შესაფუთი მასალა (15 01 02 პლასტმასის შესაფუთი მასალა), რომელიც შემოტანილი იქნება საწარმოში ხელშეკრულების საფუძველზე, ნარჩენების შემგროვებელი კომპანიისგან, რომელსაც ექნება შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან შეძენილი იქნება პოლიეთილენის ნარჩენების იმპორტიორი კომპანიიდან.

ნარჩენების გადამამუშავების(აღდგენის) ოპერაციის კოდექსი განისაზღვრა „ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით:

- R7 იმ კომპონენტების აღდგენა, რომლებიც დაბინძურების შესამცირებლად გამოიყენება.
- R9 ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება.

გზშ-ს ეტაპზე მოხდება ნარჩენების აღდგენის ოპერაციების კოდექსის დაზუსტება.

ნარჩენების შემოტანა მოხდება სატვირთო ავტომობილის საშუალებით და გადმოიცლება მუშა პერსონალის დახმარებით სასაწყობო მოედანზე (ფართობი 300მ<sup>2</sup>), რათა არ მოხდეს ნარჩენების ღია სივრცეში გაფანტვა და ჰაერის ან ნიადაგის დაბინძურება. ძირითადად ნარჩენი წარმოდგენილი იქნება პოლიეთილენის შესაფუთი მასალებით. დასაწყობებული ნარჩენი დახარისხდება მუშა პერსონალის მიერ. დახარისხების პროცესში შესაძლოა წარმოიქმნას მცირე რაოდენობით ქაღალდის ნარჩენები, რაც წელიწადში 900 კგ-ს არ აღემატება. ქაღალდის ნარჩენები შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს „თბილისერვის ჯგუფს”. ასევე დანადგარების შეკეთების პროცესში მოსალოდნელია წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენები, რომელიც გადაეცემა შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიას. ამის შემდეგ დახარისხებული ნარჩენები მიეწოდება აგლომერატებს, თითოეულის წარმადობა შეადგენს 20კგ/სთ-ში(ჯამში 40კგ/სთ-ში), სადაც ხდება პოლიეთილენის დაქუცმაცება. აგლომერატის დღიური სამუშაო დრო განისაზღვრება 16 სთ.

დაქუცმაცებული პოლიეთილენი ჩაიტვირთება გრანულატორში სადაც ფორმირდება საბოლოო პროდუქტად, გრანულებად. ამის შემდეგ გრანულები მზადაა ექსტრუზიის მეთოდით გადამამუშავებისათვის. 40კგ ნარჩენი პოლიეთილენის გადამამუშავების შემდეგ მიიღება 39 კგ პოლიეთილენის გრანულები.

წარმოების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არაა.

საწარმო წლიურად გადაამუშავებს 179,2 ტონა პოლიეთილენის ნარჩენს.

$$(20+20) \times 16 \times 280 = 179\,200 \text{ კგ/წელიწადში}$$

მიღებული პროდუქტის რაოდენობა ნარჩენების აღდგენის შემდეგ:  $39 \times 16 \times 280 = 174\,200 \text{ კგ/წ}$

ამ დროისთვის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 313 600კგ პოლიეთილენის ფირს, ნარჩენების გადამამუშავების პროცესის დამატების შემდეგ წარმადობა გაიზარდება 174 720კგ-ით და ჯამში გვექნება 488 320კგ.

პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოში დასაქმებული იქნება 20 ადამიანი.

## 2.2 პროექტის ფარგლებში საჭირო ინფრასტრუქტურა

პოლიეთილენის გადამამუშავებელი საწარმო აღჭურვილია შემდეგი დანადგარებით:

- 3 ცალი ექსტრუდერი (ჩინური წარმოების პოლიეთილენის ამომყვანი დანადგარი)- თითოეული 10 კგ/სთ-ში
- ცელოფნის შესაფუთი დანადგარი (თურქული წარმოების) 20 კგ/ სთ-ში
- რულონის ტომარის დანადგარი (რუსული წარმოების) 20 კგ/სთ-ში
- 4 ცალი გრანულატორი (კუსტარული)- თითოეული 6კგ/სთ-ში
- 2 ცალი აგლომერატი (საფქვავე) (კუსტარული) - თითოეული 20 კგ/სთ-ში
- ფლექსო(ფლექსოგრაფიული) სახატავი პოლიეთილენზე ხატვის დანადგარი, წარმადობა - 0.05 კგ/სთ-ში -საღებავი (ფლექსი), 0.15 ლ/სთ-ში იზოპროპილის სპირტი, 0.15 ლ/სთ ეთილაცეტილის სპირტი, მუშაობის დრო 2-3 სთ;
- პოლიეთილენის საჭრელ-საწები დანადგარი 4 ცალი;

### 2.3 წყალმომარაგება და კანალიზაცია

საწარმოს წყალმომარაგება და კანალიზაციით სარგებლობა ხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე „GWP“-თან. ჩამდინარე წყლების წარმოქმნა საწარმოო პროცესში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

ობიექტზე ასევე განთავსებულია 2 ტონიანი წყლის ავზი, რითიც საწარმო სარგებლობს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში.

### 3 ალტერნატივების აღწერა

#### 3.1 „არ განხორციელების“ ალტერნატივა


„არ განხორციელების“ ალტერნატივა უნდა განიხილებოდეს იმ შემთხვევებში, თუ შემოთავაზებულ საქმიანობას ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა, რომელთა რისკების შეფასებაც ვერ განხორციელდება ეფექტურად ან დამაკმაყოფილებლად.

„არ განხორციელების“ ალტერნატივა გულისხმობს, შემოთავაზებული პროექტის არ განხორციელებას. შემოთავაზებული პროექტის პრევენცია გამოიწვევს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის დაკარგვას და ამავდროულად, არ მოხდება 179,2 ტონა პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება, რაც გაზრდის ნაგავსაყრელებზე პოლიეთილენის ნარჩენების რაოდენობას. მეორეს მხრივ, არ განხორციელდება ნიშნავს, რომ 20 ადამიანის დასაქმება არ მოხდება, რაც თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას იქონიებს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

#### 3.2 განთავსების ადგილის შეცვლის ალტერნატივა

ალტერნატიულ ტერიტორიად შეირჩა ქ. თბილისში, ზღვისუბანის დასახლება, მიკრო/რაიონი XI, კვარტალი III, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ს/კ: 01.12.05.001.004). აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ფართობი 2490მ<sup>2</sup>) წარმოადგენს შპს „ჯინო ველნეს“-ს (ს/კ: 200000391) საკუთრებას. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X: 485532.71 Y: 4624428.67; ტერიტორიას ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისკენ ესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ სააქციო საზოგადოება „თი ბი სი ბანკი“-ს არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

სქემა 3-1: შპს „პოლიპლასტი“-ს განთავსების შეცვლის ალტერნატივა



ტერიტორია ზღვის დონიდან მდებარეობს 536 მეტრზე, უახლოესი ზედაპირული წყლის ტერიტორია დაშორებულია 176 მეტრით.

ნაკვეთი თავისუფალია შენობა ნაგებობებისგან. იმ შეთხვევაში თუ საჭირო გახდა საწარმოს განთავსების ადგილის შეცვლის აუცილებლობა, შპს „პოლიპლასტი“ აღნიშნულ ტერიტორიაზე ააშენებს ახალ საწარმოს. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი შენობა თავის მხრივ ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას, ზრდის გარემოს დაბინძურების რისკებს. მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედება შესაძლოა მოხდეს გრუნტის ხარისხზე, ასევე საჭირო იქნება ტერიტორიის გამონახვა ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დასასაწყობებლად. ატმოსფერულ ჰაერში ემისიები მოსალოდნელია მშენებლობის ეტაპზე მძიმე და სატვირთო ავტომობილების მუშაობის პროცესში. ტერიტორიაზე მოსაწყობი იქნება შიდა კომუნიკაციები: ელ. ენერგია, წყალი, კანალიზაცია.

### 3.3 ტექნოლოგიური ალტერნატივა

ტექნოლოგიურ ალტერნატივად განიხილება ისეთი მანქანა-დანადგარების შეძენა და საწარმოო ციკლში ჩაშვება, რომელთა გამაცხელებელ ელემენტებად გამოყენებული იქნება ბუნებრივ აირი.

დღეისათვის პოლიეთილენის გრანულების გადამუშავება ხდება იმ მანქანა-დანადგარებით, რომელთა გამაცხელებელ ელემენტებად გამოყენებულია ელექტრო ენერგია.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია უსაფრთხოება საწარმოო მოედანზე. ამ კუთხით შედარებით უსაფრთხო და მეტად ადაპტირებულია ელექტრო ენერგიაზე მომუშავე დანადგარები, რადგან ბუნებრივი აირი არის ფეთქებადი ნივთიერება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მასშტაბური კატასტროფები. ბუნებრივ აირთან პერსონალის მუშაობა დამატებით რისკებთანაა დაკავშირებული, რაც გასათვალისწინებელი იქნება გზშ-ს ეტაპზე.

განსხვავებით იმ მანქანა-დანადგარებისგან რომელთა გამაცხელებელ ელემენტებად გამოყენებული იქნება ელექტრო ენერგია, ბუნებრივ აირზე მომუშავე დანადგარები უფრო მეტად ახდენენ გარემოზე ზემოქმედებას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებით. ელ. ენერგიაზე მომუშავე დანადგარები ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებენ უშუალოდ ნედლეულთან/ნარჩენთან შეხების პროცესში, ხოლო ბუნებრივ აირზე მომუშავე დანადგარები უშუალოდ გაცხელებისას და ასევე ნედლეულთან/ნარჩენთან შეხებისას.

### 3.4 ალტერნატივების შეფასება

ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევას გათვალისწინებული იქნა გარემოზე ზემოქმედება, როგორც გრუნტის ხარისხზე, ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და ატმოსფერულ ჰაერზე. პროექტის პირველ ალტერნატივად შეირჩა არსებული სახეცვლილი ტერიტორია, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობები და განთავსებულია მანქანა-დანადგარები. დამატებით რაიმე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება საჭირო არ იქნება. ტერიტორიაზე უკვე არსებობს საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა: მისასვლელი გზები, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, ელექტრომომარაგების სისტემები და სხვა.

ტექნოლოგიური ალტერნატივის შეფასების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა, როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე შრომის უსაფრთხოების ნაწილი. გამომდინარე აქედან აშკარაა, რომ ბუნებრივი აირზე მომუშავე მანქანა-დანადგარები უფრო მეტად აბინძურებენ ატმოსფერულ ჰაერს, ვიდრე ელ. ენერგიაზე მომუშავე მანქანა-დანადგარები. რისკების შეფასების ეტაპზე განიხილა ადამიანზე ზემოქმედების რისკები და ვინაიდან ელ. ენერგიაზე მომუშავე დანადგარები უფრო მეტად ადაპტირებულია და ასევე ნაკლებად სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეირჩა ზემოაღნიშნული პირველი ალტერნატივა.

## 4 საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები

### 4.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

უბანი შედის მშრალი კონტინენტალური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.1°C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3°C. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს აპრილამდე. აბსოლუტური მინიმუმია – 25°C. ყველაზე თბილი თვე ივლისია, საშუალო ტემპერატურით 23.6°C. 10<sup>°</sup>ზე მაღალი ტემპერატურა წლის თბილ პერიოდში არის აპრილიდან ნოემბრამდე. ტემპერატურის მაქსიმუმია 40°C. ნიადაგის გაყინვის სიღრმე - 5 სმ.

მოსული ნალექების წლიური ჯამია 559 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში და ივნისში, ხოლო მინიმალური დეკემბერში კი იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 111 დღეა. ნალექების დღეღამური მაქსიმუმია 147 მმ. ტენიანობის კოეფიციენტი 0.55. თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე, მაგრამ იგი ყოველწლიურად არ მოდის, იშვიათია თოვლის მყარი საფარიც. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლეა 8 სმ. ხოლო მაქსიმალური 41 სმ.

ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობის წლიური მაჩვენებელია 66%. წელიწადში საშუალოდ 26.6 დღე გამოირჩევა 80%-ზე მეტი ფარდობითი ტენიანობით, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობა 63-ს აღწევს.

უბანზე გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის ქარები, მათზე ნაკლებია დასავლეთის ქარები. ისინი ამავე დროს გამოირჩევიან სიძლიერითაც. ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 43% შტილია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარეა 3.9 მ/წმ. ძლიერ ქარიან (<sup>3</sup>15 მ/წმ) დღეთა საშუალო რაოდენობაა 30 დღე, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობა 74 დღე.

### 4.2 გეოლოგიური პირობები

გეოლოგიური თვალსაზრისით საწარმოო მოედანი 1 მეტრ სიღრმემდე ქვემოდან ზემოთ წარმოდგენილია თანამედროვე მეოთხეულის (dpQIV) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნალექებით. ლითოლოგიურად ისინი წარმოდგენილია ღია ყავისფერი მყარი კონსისტენციის თიხნარებით. ქვემოდან მათ ფონდური და ლიტერატურული მასალების მიხედვით (~5-6 მ-დან) ემიჯნებათ ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის (P3-N11) ზღვიური მოლასური კვარც-არკოზული შემადგენლობის ქვიშაქვებით და ე.წ. 'მაიკოპისმაგვარი' მკვრივი თიხების მორიგეობით.

### 4.3 ჰიდროლოგიური პირობები

შესწავლილ უბნებზე გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად ადგილის გეომორფოლოგიით, გეოლოგიური აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით საპროექტო ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები. გამოკვლეულ უბანზე, გრუნტის წყლების ბუნებრივი გამოსავლები არ დაფიქსირებულა. ტერიტორიის ამგები გრუნტები უწყლოა. საწარმოო მოედნის ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც

ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში. ფონური მონაცემებით მიწისქვეშა წყლები აქ მხოლოდ 30-40 მეტრი სიღრმეებიდანაა მოსალოდნელი.

ამრიგად სამშენებლო მოედნის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და წარმოებისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

## 5 გარემოზე ზემოქმედების მოკლე აღწერა

### 5.1 ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება

ემისიები ატმოსფერულ ჰაერში შესაძლოა წარმოიქმნას მანქანა-დანადგარების მიერ პოლიეთილენის ნარჩენების/გრანულების გადამუშავებისას და ფირის ფორმირებისას. ემისიები რაოდენობების განსაზღვრისთვის გზშ-ს ეტაპზე დამზადდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

### 5.2 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება

ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია მანქანა-დანადგარების მიერ.

გზშ-ს ეტაპზე ინსტრუმენტალური გაზომვითი სამუშაოებით დადგინდება ზემოქმედების დონე და აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება მომსახურე პერსონალის აღჭურვა პირადი დაცვის საშუალებებით.

### 5.3 ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება

ვინაიდან შპს „პოლიპლასტი“ წარმოადგენს არსებულ საწარმოს და პროექტის ფარგლებში არ საჭიროებს რაიმე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას და ახალი ტერიტორიების ათვისებას, ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე არ განიხილება.

### 5.4 წყლის გარემოზე ზემოქმედება

პროექტის ფარგლებში გრუნტის წყლის დაბინძურების რისკი ძალზედ დაბალია, რადგან ტერიტორიის სიახლოვეს არ გვხვდება მათი გამოვლინებები. საწარმო მოედნიდან 950 მეტრითაა დაშორებული თბილისის ზღვა, მდინარე მტკვარი 6500 მეტრით, მდინარე ხევძმარი 4100 მეტრით, დიდი ტბა 8500 მეტრით და პატარა ტბა 8200 მეტრით. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოო მოედანი საკმაოდ დაშორებულია ზედაპირული წყლების ტერიტორიებისგან, ზემოქმედება წყლის გარემოზე მოსალოდნელი არაა.

### 5.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია მთლიანად მდებარეობს უკვე ათვისებულ ტერიტორიაზე სამეურნეო ეზოში, რომელიც მუდმივად განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას, ტერიტორია შეუძლებელია ჩაითვალოს გარეული ცხოველების რომელიმე სახეობის საბინადრო ადგილად.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

## 5.6 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, თბილისის ეროვნული პარკი, მდებარეობს ჩრდილოეთით, 11.7 კმ-ს დაშორებით. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პოლიეთილენის გადამამუშავებელ საწარმოს დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება არ ექნება.

## 5.7 ნარჩენების წარმოქმნა და შესაძლო გავრცელება

პოლიეთილენის გრანულების(ნედლეულის) გადამამუშავების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არაა.

პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავების პროცესში, პოლიეთილენის დახარისხების დროს, შესაძლოა წარმოიქმნეს 900კგ-მდე ქაღალდის ნარჩენები, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს „თბილსერვის ჯგუფს“.

საწარმოს ტერიტორიაზე, მანქანა-დანადგარების სარემონტო სამუშაოების დროს შესაძლოა დაგროვდეს ლითონის ჯართი, რომელიც პერიოდულად გაიტანება ჯართის მიმღებ პუნქტებში. გარდა ამისა მცირე სარემონტო სამუშაოების დროს შესაძლოა დაგროვდეს ზეთიანი ჩვრები წელიწადში 30 კგ და შეცვლილი ნაწილები წელიწადში 35 კგ, რომლებიც დაგროვდება სპეციალურ ლითონის კონტეინერებში. მათი შევსების შემთხვევაში სახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე.

ნარჩენების გადამამუშავების(აღდგენის) ოპერაციის კოდეზი განისაზღვრა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით:

- R7 იმ კომპონენტების აღდგენა, რომლებიც დაბინძურების შესამცირებლად გამოიყენება.
- R 9 ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება.

## 5.8 ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

საწარმო იქნება დახურული და უცხო პირებისგან დაცული. საწარმოს მოწყობის ეტაპზე ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება არ გვექნება. ექსპლუატაციის ეტაპზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება მინიმალური იქნება, რადგან კომპანიას დაგეგმილი აქვს აიყვანოს ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მომსახურე პერსონალს ჩაუტარებს სწავლებებს და ტრენინგებს თუ როგორ უნდა იმუშაონ მანქანა-დანადგარებთან უსაფრთხოდ. ასევე შპს „პოლიპლასტი“ შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას, ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას და რისკების შეფასების დოკუმენტაციას, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებს ექსპლუატაციის ეტაპზე.

საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟდება სახანძრო სიგნალიზაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ხანძრის შემთხვევაში მომსახურე პერსონალის დაზიანება.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემთხვევაში ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე იქნება მინიმალური.



## 5.9 სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

საწარმოს მოწყობის პროცესში ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება მანქანა-დანადგარების სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად მოძრაობა არ იქნება ინტენსიური და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის/ნარჩენების შემოტანა მოხდება კვირის განმავლობაში სამჯერ, თითო-ჯერზე დაახლოებით 3 ტ. ასევე წარმოებული პროდუქციის გატანა განხორციელდება სატვირთო ავტომობილების დახმარებით, კვირის განმავლობაში სამჯერ თითო-ჯერზე დაახლოებით 3 ტ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე არ იქნება.

## 5.10 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება

ობიექტიდან 1300 მეტრითაა დაშორებული კულტურული ძეგლი საქართველოს მატთანე, რომელიც რელიგიურ დატვირთვას ატარებს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მატთანე საპროექტო ტერიტორიიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ გვხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ექსპლუატაციის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

## 5.11 დასაქმებაზე, ეკონომიკურ გარემოზე და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელების ეტაპზე საწარმოში დასაქმდება 20 ადამიანი. საწარმოს ფუნქციონირებით სოციალური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილი მცირე, თუმცა საგრძნობი იქნება. შპს „პოლიპლასტი“ ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში კორექტულად გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

## 5.12 კუმულაციური ზემოქმედება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სააქციო საზოგადოება „სპაგეტი-94“-ს და სააქციო საზოგადოება „თემქა-პურის“ საკუთრებას, რომელიც შპს „პოლიპლასტს“ იჯარის წესით აქვს აღებული. სს „სპაგეტი-94“-ს შენობაში განთავსებულია შპს „POLIMARR“-ის საწარმო, სადაც ხორციელდება პოლიეთილენის გრანულების(ნედლეულის) გადამამუშავება, რისგანაც საბოლოო პროდუქტს იღებს პოლიეთილენის ფირს. შპს „POLIMARR“-ის საწარმოო პროცესი თითქმის იდენტურია შპს „პოლიპლასტის“ საწარმოო პროცესთან, სადაც გამოყენებულია 5 ცალი ექსტრუდერი, 1 ცალი საფქვაავი(აგლომერატი), 4 ცალი საჭრელ-საწები დანადგარი და 1 ცალი სახატავი. საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 285,6 ტ/წ პოლიეთილენის გრანულებს. კუმულაციური ზემოქმედება ამ შემთხვევაში შესაძლოა განიხილებოდეს მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუთხით. გზშ-ს ეტაპზე ჩატარდება ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების

კონცენტრაციის მოდელირება და დადგინდება შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეცეპტორები.

### 5.13 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 5.14 შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე ზემოქმედება

შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან თბილისი და საწარმოო მოედანი დაშორებულია 300 კმ და მეტი მანძილით. შესაბამისად, რაიმე სახის გავლენა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გამორიცხულია.

### 5.15 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება არ განიხილება, რადგან პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს რაიმე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. პროექტი განხორციელდება სააქციო საზოგადოება „სპაგეტი-94“-ს და სააქციო საზოგადოება „თემქა პური“-ს არსებულ შენობებში.

### 5.16 დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციები

ავარიული სიტუაცია შესაძლოა შეიქმნას საწარმოში მანქანა-დანადგარების მიერ ზეთის დაღვრის შემთხვევაში. ვინაიდან მანქანა-დანადგარები დამონტაჟებული იქნება ბეტონის საფარზე გარემოში, ნიადაგზე მისი დაღვრა მოსალოდნელი არაა.

ფლექსოგრაფიული ხატვისას გამოყენებული საღებავები და სპირტები დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე ბეტონის საფარზე, სპეციალურად მოწყობილ ადგილზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მომსახურე პერსონალზე რაიმე სახის ზემოქმედება. სახიფათო ნივთიერებების მართვა განხორციელდება მომსახურე პერსონალის მიერ, რომელთაც ჩატარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ.

ავარიული დაღვრის შემთხვევაში სახიფათო ნივთიერებები დაიღვრება პირდაპირ ბეტონზე, საიდანაც მათი მოცილება მოხდება აბსორბენტი მასალების საშუალებით.

საწარმოში დამონტაჟებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი და სახანძრო სიგნალიზაცია.

## 6. ინფორმაცია მომავალში ჩასატარებელი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ

### 6.1 ემისიები ატმოსფერულ ჰაერში

როგორც აღინიშნა, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ემისიების უმნიშვნელო სტაციონალური წყაროების გამოყენება. აქედან გამომდინარე, არსებობს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის მოდელირების საჭიროება და ეს სამუშაოები ჩატარდება გზშ-ს შემდგომ ეტაპზე.

### 6.2 ხმაურის გავრცელება და ვიბრაცია

დასადგენი იქნება ვიბრაციის და ხმაურის გავრცელების დონეები გზშ-ს ეტაპზე. ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში გატარდება შემარბილებელი ღონისძიებები.

### 6.3 ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება

ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება არ გვექნება, აქედან გამომდინარე გზშ-ს ეტაპზე რაიმე დამატებითი კვლევა საჭირო არა იქნება.

### 6.4 წყლის გარემო

საპროექტო ტერიტორიიდან ყველაზე ახლოს 950 მეტრში მდებარეობს თბილისის ზღვა. რელიეფის სპეციფიკიდან და დაშორების მანძილიდან გამომდინარე გამოირიცხება ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკი.

### 6.5 ბიოლოგიური გარემო

გზშ-ს ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, რაც აღწერილობითი სახის იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენა არ იქნება მოსალოდნელი, ვინაიდან მიმდებარე ტერიტორია ტექნოგენურად სახეცვლილია და მუდმივად განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას.

### 6.6 დაცული ტერიტორიები

საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია გვხვდება 11.7 კმ-ში, აქედან გამომდინარე ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება და რაიმე სახის კვლევას არ საჭიროებს.

### 6.7 ნარჩენები

როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მათი არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება.

საწარმოს ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტექნოლოგიურ თავისებურებებს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებულია საქართველოსა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვით და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი და რაოდენობრივი აღწერა, ასევე მათი მართვის პირობები მოცემული იქნება გზმ-ს ეტაპზე.

გზმ-ს ეტაპზე მოხდება ნარჩენების აღდგენის ოპერაციების კოდების დაზუსტება.

## 6.8 ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

გზმ-ს ეტაპზე დადგენილი იქნება ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების გეგმები და პროცედურები, ტრენინგები და სწავლებები, რომლებიც ჩაუტარდება მომსახურე პერსონალს ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. საწარმოში დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პროცესების რეგულარული მონიტორინგის მეშვეობით მოახდენს ინციდენტების პრევენციას, რათა თავიდან იქნას არიდებული ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება. გზმ-ს ეტაპზე მაღალი დეტალიზაციით იქნება წარმოდგენილი რისკების შეფასება.

## 6.9 სატრანსპორტო ნაკადები

ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი არაა და რაიმე დამატებით კვლევას არ საჭიროებს.

## 6.10 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიური ძეგლები

ვინაიდან უახლოესი ისტორიულ-კულტურული ძეგლი 1300 მეტრითაა დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან, აღნიშნულზე ზემოქმედება უმნიშვნელოა და დეტალურად ზემოქმედების დაზუსტება მოხდება გზმ-ს ეტაპზე.

## 6.11 დასაქმება, ეკონომიკური გარემო და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობები

სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების განხილვისას, გზმ-ს შემდგომ ეტაპზე, ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას და მათი ცხოვრების პირობებზე ზემოქმედება, ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე და ა.შ. დამატებითი ინფორმაცია გავლენის ზონაში მოქცეულ ობიექტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ აისახება გზმ-ს დოკუმენტში.

## 6.12 კუმულაციური მდგომარეობა

კუმულაციური ზემოქმედება განიხილება გზმ-ს ეტაპზე, შპს „POLIMARR“-ის პოლიეთილენის გრანულების(ნედლეულის) გადამამუშავებელი საწარმოს მიმართებაში, ატმოსფერულ ჰაერში

ემისიებთან დაკავშირებით. კვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში დადგინდება პოტენციური ზემოქმედების წყაროები და გატარდება შემარბილებელი ღონისძიებები.

### **6.13 ტრანსსასაზღვრო მდგომარეობა**

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება რაიმე კვლევის ჩატარებას მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არ საჭიროებს.

### **6.14 შავი ზღვა და სანაპირო ზოლი**

ზემოქმედება შავ ზღვაზე არ განიხილება და რაიმე დამატებით კვლევას არ საჭიროებს.

### **6.15 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება**

საწარმო მოეწყობა უკვე ათვისებულ და სახეშეცვლილ ტერიტორიაზე არსებულ შენობაში და მისი მოწყობით ლანდშაფტის ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

### **6.16 დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციები**

ავარიაზე რეაგირების გეგმა წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ეტაპზე.

იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი

01 მაისი----2019 წ.

სს „სპაგეტი-94“-ის გენ. დირექტორი იოსებ კუხიანიძე, ერთის მხრივ, ( საინდ. კოდი 200001023 ) შემდგომში მეიჯარედ წოდებული და შპს „პოლი პლასტი“-ს დირექტორი გიორგი ვახტანგიშვილმა შემდგომში მოიჯარედ წოდებული ს /კ 400264780მეორეს მხრივ, გავაფორმეთ ხელშეკრულებას შემდეგზე საქმიანობაზე:

I. ხელშეკრულების საგანი.

1.1. მეიჯარე გასცემს, ხოლო მოიჯარე დებულობს იჯარით მეიჯარის ბალანსზე მყოფ შენობის ნაწილს. ერთი ფართით 239 კვმ. ერთი კვმ. 3 ლარად, მეორე ფართი 110 კვმ. ერთი კვმ. 5.90 ლარად. სართო ფართი არის 349 კვმ. საერთო საიჯარო გადასახდელი ქირა არის 1366 ლარი. ( ერთიათასსამასსამოცდაექვსი ) ლარი. ყოფილი ფქვილის საწყობი.

II. მეიჯარის უფლებები და მოვალეობები.

2.1. მეიჯარე დებულობს შემდეგ ვალდებულებებს:  
2.1.1 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გადასცეს მოიჯარეს ზემოთხსენებული ფართი.

საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში უზრუნველყოს მოიჯარისათვის იჯარით აღებული შენობასთან შეუფერხებლად მიმოსვლის უფლება.

2.2. მეიჯარეს უფლება აქვს

2.2.1 მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

თუ მოიჯარე:

დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას;

---- არ იხდის საიჯარო ქირას

თავისი საქმიანობით პრობლემებს უქმნის მეიჯარეს თავის საქმიანობაში ანაგვიანებს იჯარით აღებულ შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

III მოიჯარის უფლებები და მოვალეობები.

3.1 მოიჯარე იღებს ვალდებულებას.

